ბრძანება:**ბ66. 662505917**
თარიღი:**28/02/2025**

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის**

**ბრძანება**

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს:

ა) ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2026-29 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დანართი 1 - ის შესაბამისად.

ბ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები 3-6 -ე დანართების შესაბამისად.

ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 7-8-ე დანართის შესაბამისად.

2. განისაზღვროს დანართი 2-ის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა, მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების პერიოდულობა.

3. საფინანსო სამსახურმა ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს ინსტრუქციის მოზადება, მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად. რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

4. საფინანსო სამსახურმა ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართზე: ქ. ბაღდათი, ვაჟა-ფშაველას ქ.N7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

კახა ენუქიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია-ბაღდათის

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი